ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

შაბათი,
28 აპრილი,
1990 წ.
№ 47 (11533)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არ წამოვეგოთ პროვოკაციას!

**საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმმა მიიღო მიმართვა რესპუბლიკის ყველა მოქალაქისადმი. მასში, კერძოდ, ნათქვამია:**

დღეს ჩვენს ერს კვლავ დასჭირდა ხმის ამაღლება თავისი ინტერესების დასაცავად. თითოეული ჩვენგანი კიდევ ერთმა ახალმა შეშფოთებამ მოიცვა, ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას ისევ მუშტი მოუღერეს — ბოლო დღეებში გავრცელებული ე. წ. ინტერფრონტის შექმნა არა უბრალოდ საშიშროებას გვიქმნის, არამედ თვით ანონიმური ჭორის გავრცელებაც კი უკვე გახდა მიზეზი მთელი ერის შეძრწუნებისა.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ ინტერფრონტის შექმნას პროვოკაციული ჩანაფიქრი უდევს საფუძვლად და ინსპირირებულია გარდაქმნის მოწინააღმდეგე ძალების მიერ, რომელთა ხელწერაც აშკარად ჩანს ბოლო დროს განხორციელებულ ცნობილ ანტიქართულ აქციებში. ინტერფრონტის ანონიმ ორგანიზატორთა „მოწოდება" სულმდაბალ შოვინისტთა და გონებაშეზღუდულ უბადრუკთა კიდევ ერთი ცდაა გამწვავონ და დაძაბონ ეროვნებათაშორისი ურთიერთობა, გამოიწვიონ სიტუაციის დესტაბილიზაცია რესპუბლიკაში, ხელი შეუშალონ ქართველი ხალხის სწრაფვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

ყველა პედაგოგის სახელით, ყველა იმ ადამიანის სახელით, რომლებიც წლების განმავლობაში ერთად, ერთმანეთის გვერდით ვზრდით სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, ვშრომობთ, ერთად ვწუხვართ და ვხარობთ, მოვუწოდებთ რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას, საქართველოში მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს, გამოიჩინონ უმაღლესი სიფხიზლე და წინდახედულობა, არ წამოეგონ ავკაცთა მორიგ პროვოკაციას, რომლის მიზანია საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გათიშვა — დაქსაქსვა და ქართველი ერის ნების შენიღბული ფორმით დათრგუნვა.

მოვუწოდებთ ყველას, კიდევ უფრო მჭიდროდ, ერთ მუშტად შევკავშირდეთ, ენის, ძირძველი ტრადიციების, ცხოვრების წესის, ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებისათვის უკომპრომისო ბრძოლაში, ნამდვილად თავისუფალი და სუვერენული საქართველოს მომავლისათვის ბრძოლაში.

გვჯერა თქვენი, ძვირფასო თანამემამულენო, გვჯერა თქვენი ამაღლებული შეგნებისა და გონებისა, გვჯერა ჩვენი ერის ხვალინდელი დღისა. ამ რწმენით აღვუზარდოთ სამშობლოს ჩვენი შვილები და შვილიშვილები. ამ რწმენით აღვუდგეთ წინ საქართველოს ხალხის და მისი დემოკრატიის მტრებს.

საქინფორმი

## საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

27 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ადფრედ გონსალვესი, რომელიც ვიზიტად არის ჩამოსული ჩვენს რესპუბლიკაში.

შეხვედრისას ნ. ჭითანავამ ხაზგასმით აღნიშნა თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი და ინდოელი ხალხების ტრადიციული, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გაღრმავებას. მან სტუმარს გააცნო რესპუბლიკის სოციალ-პოლიტიკური ვითარება, წამოჭრილი ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გეგმები და პერსპექტივები. აღინიშნა, რომ ორივე მხარე მზად არის კვლავაც განავითაროს ნაყოფიერი თანამშრომლობა მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკონომიკისა და კულტურის, სოფლის მეურნეობის დარგებში.

ინდოეთის ელჩმა დეტალურად გააანალიზა ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი, თქვა, რომ დაინტერესებულია დაამყაროს უშუალო კონტაქტები საქართველოს რესპუბლიკასთან.

დარბაზობას დაესწრო საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ჯავახიშვილი.

## გაიმართა გულახდილი საუბარი

**საქართველოს** უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე და საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ჭითანავა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში რესპუბლიკის ახალგაზრდა მასწავლებელთა ასოციაციის თხოვნით შეხვდნენ მათს წარმომადგენლობას.

გაიმართა საქმიანი, გულახდილი, კონსტრუქციული და კონკრეტული საუბარი განათლების სისტემის გარდაქმნის, ეროვნული სკოლის კონცეფციის, პედაგოგმასწავლებელთა პრობლემების, კადრების მომზადებისა და დასაქმების, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სკოლასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე, მათი გადაჭრის პერსპექტივებზე.

კმაყოფილებით აღინიშნა რესპუბლიკაში ახალგაზრდა პროფესიონალთა ისეთი გაერთიანებების არსებობა და საქმიანობა, რესპუბლიკის ახალგაზრდა მასწავლებელთა ასოციაციის მაგალითზე, რომელთაც არა მარტო აწუხებთ სკოლის პრობლემები და ფიქრობენ მათ გადაწყვეტაზე, არამედ კონკრეტულად საქმიანობენ და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ სწევენ დიდ სახვალიო ეროვნულ საქმეს.

საქართველოს კომპარტიის
ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

## „ვინძა მოკვდა მეფეთათვის..."

მიტინგი მთავრობის სასახლესთან

მე-2 გვ.

## საქართველოს ისტორია პორტრეტებში

V საუკუნის ქართლის რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე მიქაელი

მე-3 გვ.

## ღია წერილი

ისევ გლეხური მეურნეობის შესახებ

მე-4 გვ.

## სტუმრად „მადამ ეიფელთან"

პარიზული ჩანახატები — გაგრძელება

მე-6 გვ.

## მწვანეთა რეზოლუცია

**1990 წლის 22 აპრილს — დედამიწის დღისადმი მიძღვნილმა მრავალათასიანმა მიტინგმა მიიღო საქართველოს მწვანეთა მოძრაობის რეზოლუცია, რომელსაც ვაქვეყნებთ. აქვე დაინტერესებულ მკითხველს შევახსენებთ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მისამართს: 380012, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, 182; ტელეფონები — 34-80-68, 35-16-74.**

დღეს კოლექტიური მებაღეობის განვითარება ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, იგი საზიანოა ეკოლოგიურად, დემოგრაფიულად, ეკონომიურად, იწვევს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ დაქვეითებას და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის იძულებით მიგრაციას, ამას გარდა ამ პრობლემას მკვეთრად გამოხატული ნეგატიური სოციალური და სამართლებრივი მხარეებიც გააჩნია.

მიუხედავად ამისა, ფართოდაა გაჩაღებული კომპანია კოლექტიური მებაღეობის შემდგომი განვითარებისათვის. ყოველივე ამის გამო მოვითხოვთ შეწყდეს კოლექტიური მებაღეობისათვის ნაკვეთის შერჩევა, გამოყოფა, განაწილება.

მოვითხოვთ! შედგეს მრგვალი მაგიდა და გადაიცეს საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით, რათა მთელმა ერმა განსაჯოს ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საშიშროება.

# „ვინცა მოკვდა მეფეთათვის..."

**„1802 წლის** 12 აპრილს (ახალი სტილით 25 აპრილს) ქართველი ერი ხიშტის ქვეშ დააფიცეს სიონის ტაძარში რუსეთის იმპერატორის ტახტის ერთგულებაზე.

188 წელია, ქართველი ერი არ შერიგებია მონობას, იგი მუდამ შეუპოვრად იბრძოდა თავისუფლებისათვის.

1990 წლის 25 აპრილს, საღამოს 5 საათზე, მთავრობის სახლთან გაიმართება საპროტესტო თავყრილობა.

საქართველოს მონარქისტული პარტია მოგიწოდებთ ამ თავყრილობაზე დასწრებით კიდევ ერთხელ გამოავლინოთ უდრეკი ძალა, რომელმაც ჩვენი ტანჯული ერი გააერთიანა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დიდება უფალს!

გაუმარჯოს თავისუფალ, ქართულ სახელმწიფოს!"

ასეთი შინაარსის ფურცლებს არიგებდნენ ამ დღეებში ახალგაზრდები დედაქალაქის ქუჩებში. მონარქისტული პარტიის მოწოდება უყურადღებოდ არ დარჩენილა. 25 აპრილს, 5 საათზე, მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, მთავრობის სახლთან ხალხმა მრავლად მოიყარა თავი. და აი, გამოჩნდნენ თავყრილობის ინიციატორებიც — ძველი ქართული, სამეფო და საკუთარი პარტიის დროშებით ხელდამშვენებული მონარქისტული პარტიის წევრები. მათ მოსვლას და თავყრილობის გახსნას სიმღერა შეაგება ანსამბლმა „ფაზისმა" და საერთოდაც, იმ საღამოს სიმღერაც ხშირად ჟღერდა და ლამაზი, ამაღლებული სიტყვაც ასევე ხშირად ისმოდა.

თავყრილობა გახსნა საქართველოს მონარქისტული პარტიის რეგენტთა საბჭოს წევრმა ზვიად ბოკუჩავამ, რომელმაც პერიოდს 1802 წლიდან — საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვიდან — დღემდე 190-წლიანი ღამე უწოდა. ამავე საბჭოს წევრმა აკაკი ასათიანმა ვრცლად ილაპარაკა ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების უმძიმეს შედეგებზე, იმ პოლიტიკურ თუ მორალურ ზიანზე, რაც რუსეთის მფარველობის (უფრო სწორად კი მონობის) ქვეშ შესვლამ მოუტანა ქართველ ერს და ქართულ სახელმწიფოს.

შემდეგ დამსწრეთ, მათი თხოვნით, განუმარტეს მონარქისტული პარტიის მიზნები. ითქვა, რომ მონარქისტული პარტია არ ითხოვს საქართველოში თავადაზნაურობის ინსტიტუტის აღდგენას, არ იბრძვის ხელისუფლებისათვის, მას სურს მხოლოდდამხოლოდ იმის დაბრუნება, რაც ძალით წაართვეს საქართველოს — ღვთით კურთხეული მეფე და ქართული სახელმწიფოებრიობა. რაც შეეხება თავად მეფის სტატუსს და მის პიროვნებას, მონარქისტულ პარტიას მიაჩნია, რომ სწორედ მეფე შეკრავს საქართველოს, მოახდენს ერის კონსოლიდაციას... საქართველოს ეყოლება მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ეყოლება მეფეც, რადგან იგი მას ჰყავს — გიორგი XIV, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს და უახლოეს ხანებში შეიძლება საქართველოში ჩამოვიდეს...

საერთოდაც, დამსწრეთა მოთხოვნები და შეკითხვები მთელი თავყრილობის მანძილზე არ შეწყვეტილა. ერთ-ერთ შეკითხვაზე — რატომ არ იღებთ თქვენს საძმოში ქალებსო — გაცემულ პასუხს განსაკუთრებით მხურვალე ტაში მოჰყვა. პასუხი კი ასეთი იყო: ქალის პოლიტიკა მისი ოჯახი, შვილების გაზრდა და კერიის სითბოს შენარჩუნებააო. ტაში დიდხანს არ შეწყვეტილა, მაგრამ ტაშს ხომ ძირითადად ქალები უკრავდნენ, რომლებიც მრავლად იყვნენ ამ თავყრილობაზე და ისევ და ისევ თავის პოლიტიკურ აქტიურობას ამტკიცებდნენ.

შეკრებილთ აუწყეს, რომ შეიქმნა სრულიად საქართველოს მონარქისტული ლიგა, რომელშიც შესვლაც შეუძლია ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, ასაკის, თანამდებობისა, პარტიულობისა, ვინც იბრძვის საქართველოს თავისუფლებისათვის და სურს ღვთითკურთხეული მეფის ტახტზე დასმა (სრულიად საქართველოს მონარქისტული ლიგის I ყრილობა შედგება მიმდინარე წლის 25 მაისს).

თავყრილობაზე მონარქისტთა მხარდასაჭერად მოსული იყვნენ სხვა პარტიების, ორგანიზაციებისა თუ საზოგადოებების წარმომადგენლები. ნოდარ ნათაძემ განაცხადა, რომ მონარქისტული ლიგა ნამდვილად ღირსია იმისა, რომ მასში ერის ღირსეული შვილები შევიდნენო. საერთოდ კი, — თქვა მან, — საქართველოს აქვს უფლება თავად აირჩიოს საკუთარი მმართველობის ფორმა, სხვა ფორმებს შორის, რა თქმა უნდა, მონარქიულიც... იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში მონარქია, ოღონდ კონსტიტუციური, აღდგა, საქართველოს ეყოლება ყველაზე ძველი სამეფო დინასტია მსოფლიოში, დროის ყველაზე დიდი ინტერვალის შემდეგ აღდგენილი.

თამაზ კვაჭანტირაძე რუსთაველს დაესესხა: „ვინცა მოკვდა მეფეთათვის, მათი სულნი ზეცად რბიან!" — და ამას ქართველთა ძვალსა და რბილში გამჯდარი [illegible]რი უწოდა.

ირაკლი ბათიაშვილმა ილაპარაკა იმ დიდ ერთობაზე, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობისა და მონარქისტულ პარტიებს შორის არსებობს — ქართული ტრადიციების უდიდეს ერთგულებაზე. ჩვენ საერთო მიზანი გვაქვს — ნამდვილი ქართული ტრადიციების აღორძინება და ამ ტრადიციებით მხოლოდ და მხოლოდ წინსვლა.

ირაკლი ბათიაშვილმა ილაპარაკა იმ ინციდენტთან (დედაქალაქში ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობასთან ატეხილ სროლასთან) დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ სროლა ატეხა ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილმა ადამიანთა ჯგუფმა და რომ ეროვნულმა ფორუმმა შექმნა კომისია, რომელიც უმოკლეს ვადაში (ერთ კვირაში) გაარკვევს ყველაფერს. ამასთან, გამოთქვა რწმენა, რომ მონარქისტული პარტია, რომელმაც ამ ინციდენტის შემდეგ დატოვა ეროვნული ფორუმი, კვლავ დაუბრუნდება მას.

თავყრილობის დასასრულს საქართველოს მონარქისტული პარტიის თავმჯდომარემ თემურ ჟორჟოლიანმა წაიკითხა მიმართვა ქართველი ერისადმი და მოუწოდა მას, დარჩენილიყო ქართველი მეფეების, ქართული ტრადიციების ერთგული და გაერთიანებულიყო თამარის დროშის ქვეშ.

**საკუთარი ინფორმაცია**
**იური მეჩითოვის** ფოტოები.





## საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის განცხადება

საქართველოს მონარქისტულ (კონსერვატიულ) პარტიას მიაჩნია, რომ 1990 წლის 24 აპრილს რუსთაველის გამზირზე, საქართველოს ეროვნული ფორუმის დროებით რეზიდენციასთან მომხდარი ინციდენტი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ფორუმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ჩვენი სამშობლოს თავისუფლების წინააღმდეგ გამიზნულ შეუწყნარებელ პროვოკაციას. თუ მსგავსი მოვლენები ძირშივე არ აღიკვეთა, ხვალ კატასტროფის წინაშე დავდგებით და ვერავითარი კომისიები და ლოიალობა საქმეს ვეღარ უშველის.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია აცხადებს:

ვინაიდან სადღეისოდ საქართველოს ეროვნულ ფორუმში შექმნილი ვითარება არ აძლევს მას საშუალებას ნორმალურად იმუშაოს თავისი უმთავრესი დანიშნულების შესასრულებლად, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია იძულებულია დატოვოს საქართველოს ეროვნული ფორუმი.

გთხოვთ განცხადება სცნოთ დოკუმენტის ძალის მქონედ.

**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია** (წაკითხული იქნა საქართველოს ეროვნული ფორუმის სხდომაზე 1990 წლის 24 აპრილს, 21 საათზე).

**შენიშვნა:**

**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია აცხადებს რომ საქართველოს ეროვნული ფორუმიდან მისი გასვლა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მის დაპირისპირებას ეროვნულ ფორუმში შემავალ ჯანსაღ ძალებთან და პიროვნებებთან. საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია კვლავაც რჩება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთგულ ჯარისკაცად და, ვინაიდან იგი ყოველგვარ პარტიკულარიზმსა და ამბიციებზე მაღლა აყენებს სამშობლოს უზენაეს ინტერესებს, უაქტიურეს მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში. საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძალაში რჩება და კვლავაც დარჩება მისი უმჭიდროესი პოლიტიკური, ზნეობრივი კავშირი და ძმური ურთიერთობა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასთან, რომელთან ერთად საერთო პლატფორმით მიიღებს იგი მონაწილეობას ეროვნული კონგრესის არჩევნებში.**

**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია**

## დემოკრატია ახპინძურად

**ახპინძის** რაიონი საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით ყველაზე ჩამორჩენილია ეკონომიკურად, პოლიტიკურად, კულტურულად და სულიერად დაბეჩავებული, რაც ნაწილობრივ ჩაკეტილმა ზონამ განაპირობა, ნაწილობრივ კი ამ რაიონის ხელმძღვანელთა გულგრილობამ, ბიუროკრატიზმმა, კორუფციამ და უცოდინარობამ.

მთელი საქართველოს თავისუფლება ცალკეული რაიონების ეკონომიკურ ძლიერებაზე, მოსახლეობის პოლიტიკურ შეგნებაზეც არის დამოკიდებული. ამისთვის გულანთებული პატრიოტი, საქმისათვის თავდადებული, მცოდნე ხელმძღვანელიც საჭიროა, ასეთი კი ჩვენ არ გვყავს. ამიტომ ახალგაზრდების ერთი ჯგუფი გავიფიცეთ პირველი მდივნის გადასაყენებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შენობაში 7 იანვრიდან 15 აპრილამდე. რაიკომის მდივანმა ჯუმბერ მარუაშვილმა დააშინა და უკანვე დააბრუნა ზოგიერთი მათგანი; მას წაყენებული ბრალდებების უმრავლესობა დაუდასტურდა, მაგრამ მაინც ვერ შეელიენ. ბოლოს იძულებულნი გავხდით რაიკომის მდივნის კაბინეტი აგვეჭედა და მოგვეწყო მშვიდობიანი გაფიცვა.

18 აპრილს, ცხრის ათ წუთზე, მოვაწყვეთ პიკეტი მის კაბინეტთან. 17 საათსა და 30 წუთზე ჯ. მარუაშვილი მოვიდა და თან მოიყვანა რკინის ნაჭრებით და ბოთლებით შეიარაღებული თავისი ნათესავები, კრიმინალური ხალხის ნათესავები და უცნობები სხვა რაიონებიდან, თვითონ წინ მოუძღოდა, მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, — რა გინდათ ჩემგანო. ვუპასუხეთ, რომ მან იცის ჩვენი მოთხოვნები. ჯუმბერ მარუაშვილმა მაშინ თვალით ანიშნა მოსულებს, რომლებმაც დაგვიწყეს ცემა, ლანძღვა, გინება, დაგვჟეჟეს, ტანსაცმელი შემოგვახიეს, დაგვხოცავდნენ კიდეც, ხმაურზე ხალხი და სამი მილიციელი რომ არ მოგვშველებოდა. რკინას მირტყამდნენ თავში მოსაკლავად, რომ ჩემს ყვირილზე რომელილაც მშველელს (ვერ დავინახე, ვინ იყო) არ წაერთმია (ის რკინა დღეს სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებაში ინახება).

მარუაშვილის ნათესავები მიყვიროდნენ: შენ უნდა მოგკლათ, მაშინ დაისვენებს ახპინძა, თქვე თათრებო, ვერ ეღირსებით ამ ადგილზე თქვენი შაჰის დაყენებასო.

ჯუმბერ მარუაშვილი ყოველივე ამას გახარებული უყურებდა, კმაყოფილი იყო ჩვენი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფით. მაშინ კი, როცა ვიღაცამ ფანჯრის მინები ჩაამსხვრია, წავიდა. ყოველივე ეს მისი მითითებით გაკეთდა ზუსტად და უშეცდომოდ.

ახლა, როცა საქართველოში არსებული ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებები ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერის კონსოლიდაციას ქადაგებენ საქართველოს კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, ჯ. მარუაშვილი ქართველებს ყოფს კუთხურობის მიხედვით, აღვივებს შურს, მტრობას, უნდა ისე წარმოადგინოს სურათი, თითქოს იმიტომ ვეწინააღმდეგებით, რომ იმერელია, ჩვენ კი ეს აზრადაც არ მოგვსვლია.

ჯ. მარუაშვილი იმიტომ არ უნდა იყოს რაიონის ხელმძღვანელი, რომ ვერ უპასუხებს საქმით დღევანდელობას, ვერ წასწევს წინ ახპინძის ეკონომიკას, ვერ და არც იზრუნებს ამ მხარის კეთილდღეობისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. სწორედ ამიტომ მოვუწყვეთ აქცია.

მოგვხედეთ, რომ გავაკეთოთ იმის მაქსიმუმი, რაც ამ პირობებში შეიძლება — ავირჩიოთ ისეთი ხელმძღვანელი, ვინც იზრუნებს რაიონის კეთილდღეობისათვის და ჩვენთან ერთად შეიტანს მცირე წვლილს მაინც საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში.

**ციცო ლაზარაშვილი,**
**მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი.**

ქ. ახპინძა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ამერიკელთა და ქართველთა ცა ერთია

წარმოიდგინეთ ქვეყანა, რომლის არსებობის შესახებ იცით — დაახლოებით.. იცით მხოლოდ, რომ ჰქვია საქართველო, რომ ქართველს რუსი არ უნდა დაუძახო.

მოდიოდნენ ატლანტიდან თბილისში დედა-შვილი ბეტი და ჯონი დონატოები (კიდევ 299 სხვა ატლანტელ ოჯახთან ერთად) და არ იცოდნენ, ვინ და რა დახვდებოდათ საქართველოში...

— უპირველესად — ამბობს ქალბატონი ბეტი — ქართველთა გულითადობამ და სითბომ მომხიბლა. ყველას ხალისით ხვდებით. საკუთარ განწყობილებას ივიწყებთ და სხვების სიამოვნებაზე ფიქრობთ... შეიძლება ჩვენ ამერიკაში გვაქვს ცხოვრების უფრო კარგი პირობები, მაგრამ საქმე ნივთებში როდია, ჩვენ შეიძლება გვაკლია ის, რაც თქვენ ასე უხვად გაქვთ.. ერთმანეთის სიყვარული... The Friendship force — ნიშნავს ძალა მეგობრობაშია... (სწორედ ამ საზოგადოების ინიციატივით ეწვია საქართველოს 300 ატლანტელი ოჯახი...) ირაკლი და ნანა ქავთარაძეების ოჯახში ცხოვრობენ ქალბატონი ბეტი და მისი თერთმეტი წლის ვაჟი ჯონი... ძალა მეგობრობაში კი არის, რა თქმა უნდა; მაგრამ, ჯონის აზრით, ქართველთა ძალა სიკეთეშია..

ჯონი ფეხბურთელია... მას ირაკლის და ნანას ვაჟი გიორგი მასპინძლობს. ისტორიულ წარსულზე მეტად ჯონის კარტინგები და, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთი აინტერესებს...

ქართველებს სტუმარი არ გვიკვირს. მათი ქებაც სუფრაზე უფროა მიღებული, ვიდრე გაზეთში — ბეტი და ჯონი რას იტყვიან და იფიქრებენ საქართველოზე, ეს თვითონ იციან, ისე კი, მათი სავიზიტო ბარათი ყველაზე უკეთ ლაპარაკობს იმაზე, თუ რისთვის ჩამოვიდნენ ჩვენთან: „მე, ქალბატონი... ბატონი... — ამერიკული ორგანიზაციის „ძალა მეგობრობაშია“ დელეგაციის წევრი გულითადად მოგესალმებით! ჩვენ ჩამოვედით მზიურ საქართველოში თქვენს შესანიშნავ ხალხთან შესახვედრად. დაე, ქართველმა და ამერიკელმა ხალხმა მუდამ იცხოვრონ მეგობრული, მშვიდობიანი ცის ქვეშ!“

**მაია ჭალაგანიძე**

**ოლეგ გველესიანის ფოტო.**

## საქართველოს ისტორიის ფურცლებიდან

# მიქაელი

„და ვითარცა ესმა ესე ეპისკოპოსსა, დაიდასტურა, და ჰგონებდა, რათა შფოთითა დაალალოს საქმე იგი და მოსლვა მათი, და კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი. ხოლო მეფემან თქუა: „დალათუ უბრალო ვართ, სიმდაბლე ჯერ არს ჩვენგან“. და მივიდა მეფე და გარდახდა სახედარსა, რათამცა შეემთხვა ფერხთა ეპისკოპოსისათა. და განძრა მან ფერხი, და მიამთხვა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი“ —ასე აღწერს ჯუანშერი მიქაელ მთავარეპისკოპოსისა და ვახტანგ გორგასალს შორის წარმოშობილი კონფლიქტის ფინალს. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება არა მარტო მთავარეპისკოპოსის ამ უკადრისი საქციელის მიზეზის გარკვევა, არამედ მიქაელის პიროვნული პორტრეტის გაცნობაც, რომელმაც გარკვეული, არც თუ მცირე როლი, შეასრულა V საუკუნის შუა წლების ქართლის რელიგიურ-პოლიტიკურ სარბიელზე.

●

ქართლი ვახტანგ გორგასლის ჟამს და მისი მეფობის დროსაც (V საუკუნის II ნახევარში) სპარსეთის ვასალი იყო. ამით საგდუხტ დედოფლის მმართველობის დროს ისარგებლა სიუზერენმა და ორ ქვეყანას შორის რელიგიურ საკითხში (ისე როგორც სხვა საკითხებში) დაამყარა გარკვეული სტატუსი — ქრისტიანობის გვერდით ინტენსიურად დაიწყო მაზდეანობის პროპაგანდა.

სპარსეთის ხელისუფლებამ მისთვის სასურველი რელიგიური აღმსარებლობის გასავრცელებლად „წარმოგზავნა ცეცხლის-მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგვთას“. უმაღლესი სპარსი მღვდელმსახური „ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვისსა, არამედ, არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცა ცეცხლმსახურებასა“. ამ მძიმე, არასასიამოვნო მოვლენის ალსაკვეთად საგდუხტ დედოფალმა „მოიყვანა მღვდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით სახელით მიქაელ და დაადგინა იგი ეპისკოპოსად ზემოსა ეკლესიასა, რამეთუ მობიდან ეპისკოპოსი გარდაცვალებული იყო. და ესე მიქაელ ეპისკოპოსი წინააღუდგა ბინქარან მაცდურსა, რამეთუ ასწავებდა ყოველთა ქართულთა სჯულსა ჭეშმარიტსა“. როგორც გარკვეულია, ტერმინ „ჭეშმარიტით“ ჯუანშერი აღნიშნავს მხოლოდ დიოფიზიტ ქრისტიანს და, .სავსებით მართებულად, მის მიმდევრად თვლის ბიზანტიიდან მოსულ ქართლის ახალ მთავარეპისკოპოსს.

ვახტანგ I-ის დედის მიერ მოყვანილმა უმაღლესმა საეკლესიო ხელისუფალმა სავსებით გაამართლა ქვეყნის მაშინდელ საერო გამგებელთა იმედები, იგი ფრიად აქტიური, შეუპოვარი და მიზანსწრაფული პიროვნება გამოდგა, „იპყრნა სარწმუნოებასა ზედა ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერიცა უმთავრესი“. მართალია, „მცირეოდენი ვინმე წურილისა ერისაგანნი მიიქცეს ცეცხლის-მსახურებასა“, მაგრამ ასეთ შემთხვევებს მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

ნიშანდობლივია, რომ სპარსეთთან ბრძოლა და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა, მაზდეანობის გარდა, ხოლო ზოგჯერ მასზე უფრო მეტადაც გულისხმობდა ქრისტიანობის შეგნით გაჩენილი ერესების დათრგუნვა-მოსპობას, რომელთა თავის სასარგებლოდ გამოყენებას ყოველთვის დაჟინებით ცდილობდა შაჰის მმართველობა. საეკლესიო ხელისუფლებისათვის გაცილებით იოლი იყო მაზდეანობის გავრცელებისადმი მიმართული აქციების გატარება, ვიდრე ქრისტიანული ერების დაძლევა. მსგავსი სიტუაციები, ბუნებრივია, უფრო მეტ სიფრთხილესა და წინდახედულებას მოითხოვდა. ერესის წინააღმდეგ მებრძოლ მხარეს თავის წინამძღოლად აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ქრისტიანულ თეოლოგიაში ღრმად ჩახედული, მომზადებული, დიდი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული, უმწიკვლო რეპუტაციის მქონე, ძლიერი და ავტორიტეტული ლიდერი, რომელიც არა მარტო თავის გარშემო დარაზმავდა მთელ მრევლს, არამედ ამხელდა კიდეც მოწინააღმდეგეს, წერილობით თუ საჯარო პაექრობაში დაარღვევდა მის არგუმენტებს და ნელი, უკომპრომისო, მაგრამ თანმიმდევრული ბრძოლით აიძულებდა დაეთმო პოზიციები.

ჩანს, მიქაელს ჰქონდა ეს თვისებები, რაც კარგად გამოავლინა გარდაცვლილი მთავარეპისკოპოსის საეკლესიო-სახელმწიფოებრივი საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულმა მისმა ბრძოლამ. ქართლის ახალმა მწყემსმთავარმა აუტოდაფე გაუმართა წინამორბედის ერესის შემცველ „საღვთურებელ წიგნებს“, ფერფლად აქცია მობიდანის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა. „დასწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ“, შინაგანი კმაყოფილებით, მეტიც, აღფრთოვანებით მოგვითხრობს ჯუანშერი და სავსებით იწონებს უმაღლესი საეკლესიო იერარქის ამ ნაბიჯს. საფიქრებელია, რომ მიქაელი მხოლოდ გარდაცვლილი პიროვნების კრიტიკითა თუ მისი წიგნების დაწვით არ შემოიფარგლებოდა. იგი ეკლესიიდან განდევნიდა მობიდანის მომხრეებს, ეს კი დიდად გაზრდიდა მის გავლენას როგორც სამეფო კარზე, ისე ხალხში.

სავარაუდოა, რომ სწორედ ამ გარემოებამ უკარნახა დედოფალს მისთვის მიენდო ტახტის მემკვიდრის აღზრდა, თანაც გორგასლის მამამძუძე საურმაგ სპასპეტი უკვე გარდაცვლილი იყო და მოზარდ უფლისწულს აუცილებლად ესაჭიროებოდა მწვრთნელი. უდავოა, ჭკვიანმა მღვდელმთავარმა მომავალი მეფის აღმზრდელის პატივი საერო დიდებულებთან და, პირველ რიგში, გარდაცვლილი სპასპეტის ოჯახთან მძაფრი ბრძოლით მოიპოვა. „ვახტანგ იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა“, მოგვითხრობს მისი ისტორიკოსი. მომავალი ხელმწიფე დამწუხრებული იყო, „რამეთუ შერეოდა ქართლს ცეცხლის-მსახურება ტყუეობისა და საზღვართა მიხუემისაგან, და უმეტეს იურვოდა სჯულისათვის გონებასა შინა, არამედ მძლავრებისაგან სპარსთა ვერ იკადრებდა გამოცხადებასა“. ჯუანშერის თხზულების ამ ადგილებიდან ნათლად ჩანს როგორც მიქაელის ხელისუფლების ზრდა, ისე მისი პიროვნული გავლენა ახალგაზრდა უფლისწულის სულიერ ფორმირებაზე.

ჭაბუკმა გვირგვინოსანმა პირველსავე სეფესიტყვაში გამოკვეთა თავისი მამულიშვილური პოზიცია. მან, „ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა“ (ეს სიტყვები არაპირდაპირ ქართველი მონარქის აღმზრდელი მთავარეპისკოპოსის ქებაცაა), ზუსტად განსაზღვრა სამშობლოს წინაშე მდგომი უახლოესი რიგის ამოცანები, დასახა გზები მათი რეალიზაციისათვის. მეფის აზრით, უპირველესად საჭირო იყო ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის გამაგრება და ვახტანგმაც აქედან დაიწყო: დაიმორჩილა კავკასიის მთიანეთი, ჩრდილო კავკასიაში დვალეთზე, ოსეთზე, დურძუკეთზე, დიდოეთსა და წუქეთზე გაავრცელა ქართლის გავლენა. მომდევნო პერიოდში გარკვეული ბრძოლები გადაიხადა დასავლეთ საქართველოსათვის, რის შემდეგ გამარჯვებული ხელმწიფე დაბრუნდა „სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოსა მცხეთას. გაეგება წინ დედა მისი, და დანი მისნი, და სიმრავლე ქალაქისა მამათა და დედათა მიუფენდეს სახელთა და სამოსელთა მათთა ფერხთა ქუეშე მისთა. და აყრიდეს თავსა დრამასა და დრაკანსა, და აღწევნულითა ხმითა შეასხმიდეს ქებასა, რამეთუ არა რომელსა მეფესა ექმნა ეგევითარი ძლიერი წყობა“. საერთო ზეიმში მხოლოდ მიქაელი არ მონაწილეობდა. მეტიც, უმაღლესმა სასულიერო იერარქმა საჭიროდაც არ ჩათვალა მიგებებოდა მეფეს, საიდანაც ნათლად ჩანს მისი ძალა, საკუთარი პერსონის პატივისცემა, მაზდეანობასა თუ ქრისტიანულ ერესზე მოპოვებული წარმატებებით შექმნილი დიდი ხვედრითი წონისა და ავტორიტეტის გადაზრდა პატივმოყვარეობაში, გვირგვინოსნის არაფრად ჩაგდება.

ბუნებრივია, ქართლის მთავარეპისკოპოსის საქციელმა ძლიერ ჩააფიქრა ვახტანგ გორგასალი. მან იგრძნო, რომ მიქაელს არ სურდა გარკვეული პოლიტიკური სიტუაციით მოპოვებული ხელისუფლების ნებით დათმობა და შეეცადა შეეზღუდა დროთა განმავლობაში გაძლიერებული საეკლესიო მოღვაწე. მიზეზიც მალე გამოჩნდა: სპარსეთის შაჰი თავისთან იხმობდა გმირ მამულიშვილს. სიუზერენთან გასამგზავრებლად მზადმყოფმა ხელმწიფემ „მოიყვანა... ძე მისი, რომელსა ერქუა სპარსულად დარჩილ, ხოლო ქართულად დაჩი. იყო ხუთისა წლისა და დაადგა გვირგვინი, და დაუტევა მეფედ, და დაუტევა მის თანა შვიდნი წარჩინებულნი მისნი:

პირველად ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა;

დე დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა;

და გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა;

და ნერსარან, ერისთავი ხუნანისა;

და ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა;

და სამნაღირ, ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა;

და ბაკურ, ერისთავი მარგვისა და თაკუერისა;

და ამათ შეჰვედრა ძე თვისი დაჩი, და უბრძანა აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა“. ვახტანგი თვითონ ლოცავს შვილს (წყაროთი იგია თანამეფობის ინსტიტუტის პირველი შემომტანი საქართველოში) და მასთან ტოვებს თავის ერთგულებს. ამით მიქაელს ხელიდან გლეჯს გვირგვინკურთხევის კომპეტენციას და აცილებს მას ახალგაზრდა მეფეს. ფაქტობრივად ქართველი მონარქი ქმნის რეგენტთა საბჭოს და მასში არ შეჰყავს მთავარეპისკოპოსი.

რა თქმა უნდა, მსგავსი ღონისძიებით მიქაელი კმაყოფილი ვერ იქნებოდა, მაგრამ ჩანს, გორგასალსაც არ მიაჩნდა საბოლოოდ თავისი გადაწყვეტილება. უცხოეთში მყოფი ხელმწიფე ისწრაფოდა თავი დაეღწია არამკითხე სიუზერენისათვის, რაშიც ქვეყნის სხვა ძალებთან ერთად დიდი დახმარების გაწევა შეეძლო ქრისტიანულ ეკლესიას. მეფე ფიქრობდა კათოლიკოსობის შემოღებით კიდევ უფრო განემტკიცებინა მისი ავტორიტეტი, თავისი ერთგულებით შეევსო ქართლის სასულიერო პირთა რიგები და ასე ნელ-ნელა ჩაეყენებინა ეკლესია თავის სამსახურში. ვახტანგი უკვე აღარ ენდობოდა გამზრდელ მთავარეპისკოპოსს, ეძებდა უფრო დამჯერე, ერთგულ და მორჩილ პიროვნებას. მალე გამოძებნა კიდეც კათალიკოსის შესაფერი კანდიდატურა — პეტრე მღვდელი. მეტიც, გორგასალმა საჭიროდ ჩათვალა დაკავებული თანამდებობიდან გადაეყენებინა მიქაელი და მის ადგილზე ქართლის მომავალ კათალიკოსთან ერთად სამოელ მონაზონი წარუდგინა კონსტანტინოპოლის პატრიარქს დასამტკიცებლად.

წყაროდან ირკვევა, რომ ეს გადაწყვეტილება გზაში მიუღია სპარსეთიდან სამშობლოსაკენ მომავალ ხელმწიფეს, ხოლო ფართო საზოგადოებისათვის მაშინ გახდარა ცნობილი, როდესაც მამულში მობრუნებულ მეფეს წინ „მიეგება ძე მისი დაჩი და მის თანა ყოველნი სპარსალარნი, და მათ თანა ეპისკოპოსნი“. ფრიად დამახასიათებელია, რომ საერთო სიხარულში ქართლის უმაღლესი სასულიერო წინამძღოლი არც ახლა იღებდა მონაწილეობას. უფრო მეტიც, შეიტყო თუ არა, რომ გორგასალმა „წარავლინა... მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, დაუმძიმდა მას ზედა. და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად“.

ჩანს, მიქაელმა ჯერ კიდევ ნათლად არ იცის ვახტანგის გულისნადები და ცდილობს გაარკვიოს გვირგვინოსანის მისდამი დამოკიდებულება, თანაც ეს ისე მოიმოქმედოს, რომ ხელმწიფე ბრალდებულის როლში აღმოჩნდეს. ამიტომაც უთვლის: „შენ დაგიტევენებია ქრისტე და ცეცხლსა ესავ“. მეფემ უარყო შემონათვალი, თუმცა არ დაუმალავს, რომ „წარმივლენია მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა“.

ასეთ პასუხს აშკარად არ მოელოდა მთავარეპისკოპოსი. უმაღლეს სასულიერო ხელისუფლად გახდომის შემდეგ მასზე თანდათან ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მონარქიც გარკვეულ დრომდე ანგარიშს უწევდა, ახლა კი კათალიკოსის პატივში აყვანას ვინ დაეძებს, თურმე დაკავებული ტახტიდანაც უპირებს გადაყენებას. პატივმოყვარე მღვდელმთავარი, ბუნებრივია, მსგავს გადაწყვეტილებას ვერ შეურიგდებოდა, ამიტომ განრისხებულმა „კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი“. ვფიქრობთ, არა გრიგოლ ხანძთელი და საბა იშხნელი, არამედ სწორედ მიქაელია პირველი, ვინც სასულიერო ხელისუფლება საეროზე მაღლა დააყენა. თუ ეს ორი მოღვაწე ცნობს აშოტ ბაგრატიონს, როგორც უმაღლეს საერო გამგებელს ამ ქვეყნად, ქართლის მთავარეპისკოპოსი ცდილობს საერო-სახელმწიფოებრივი საქმეებიც თავის კომპეტენციაში მოაქციოს და მისი თანამედროვე გვირგვინოსანი, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ჯარის მთავარსარდლის ფუნქციას დააჯეროს.

რა თქმა უნდა, სჯულისთვის მებრძოლ გვირგვინოსანს დიდად გაანაწყენებდა ჯიუტი მღვდელმთავრის კრულვა, მაგრამ ხელმწიფემ ბრძნულად განსაჯა: „დალათუ უბრალო ვართ, სიმდაბლე ჯერ არს ჩვენგან“, — ბრძანა და თავად ეახლა ეპისკოპოსთა თავს. ცხენიდან გარდახტა, რათა ფეხზე ეკოცნა მისთვის, მაგრამ გაამპარტავნებულმა ქრისტეს მსახურმა „განძრა... ფერხი და მიამთხვია პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი“. ამ კადნიერი საქციელით განრისხებულმა გორგასალმა, მართალია, ტახტიდან სწრაფად გადააყენა ძალაუფლების ქინით შეპყრობილი, პატივმოყვარეობით გონდაბინდული ქართლის უმაღლესი საეკლესიო იერარქი, მაგრამ სასჯელის დადება მაინც კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიანდო, მასვე აახლა შემუსრული კბილი, თანაც სთხოვა, დაეჩქარებინა ქართლის კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსად წარდგენილი პირების კურთხევა და მათთან ერთად გამოეგზავნა თორმეტი ეპისკოპოსი, რაც აღსრულებულ იქნა.

კონსტანტინეპოლელ მღვდელმთავარს სიკვდილის ღირსად მიაჩნდა მონარქის შეურაცხმყოფელი სასულიერო მოღვაწე, მაგრამ ბოლოს შეიწყალა და დაკმაყოფილდა ერთ-ერთ მონასტერში მისი ექსორიით. ასე დამთავრდა უაღრესად განსწავლული, ენერგიული, მაგრამ დიდი პატივ-ძალაუფლებისმოყვარე მწყემსმთავრის საქმიანობა.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო აზრი, რომ ამ ორ პიროვნებას სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობა ჰქონდა, გამოითქვა შეხედულება, თითქოს ხელმწიფე უმაღლეს სასულიერო იერარქს საეკლესიო ქონების მიმთვისებლად თვლიდა. სინამდვილეში კი ორივე მოღვაწის მრწამსი ქრისტიანულ-დიოფიზიტური იყო, ხოლო მათი ურთიერთწაყენებული ბრალდებები მიზნად ისახავდა დაპირისპირებული დასების მიერ მოწინააღმდეგე დაჯგუფების ლიდერთა დისკრედიტაციას. ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის არსებულ შეტაკებას საფუძვლად ედო პირადი ძალაუფლებისათვის ბრძოლა. მღვდელმთავარმა მოპოვებული ხელისუფლება ნებაყოფლობით არ დათმო და მეფე იძულებული იყო იგი ტახტიდან გადაეყენებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთპიროვნულ მმართველობაზე თვითონ უნდა აეღო ხელი.

**არჩილ კოხრეიძე**

# სტუმრად „მადამ ეიფელთან"



ორი სალოცავით, ორი წმინდა ადგილით დავიწყე პარიზზე თხრობა და ალბათ უფრო იმიტომ, რომ ქართველისთვისაც და ფრანგისთვისაც ყოველი დღე უფლის ხსენებით იწყება. შემდეგ კი — გარჯა და გარჯა...

ფრანგები ძალზე შრომისმოყვარე და გამრჯე ხალხია. თუმცა ეს მათ ხელს არ უშლის, რომ გართობისა და დასვენების ინდუსტრიაში საკმაოდ აზრიანად ჩაერთონ. ამგვარი გასართობები კი პარიზში ძალზე მრავლადაა. ერთ-ერთი ასეთი დასვენების ცენტრი მე-18 კვარტალში, მეტრო „პორტ დე ვერსალთან" გახლავთ და მას „ფორესტ ჰილი" ეწოდება. „ფორესტ ჰილი" ეს მთელი მონოპოლიაა და ამერიკელთა და ფრანგთა, კიდევ ერთი, პრაქტიკული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია. „ფორესტ ჰილს" გარედან გემის ფორმა აქვს და ისევეა დონეებად დაყოფილი, როგორც გემბანები საზღვაო ლაინერზე. მომსახურე პერსონალის ჩაცმულობაც საზღვაოსნო ფორმას მოგაგონებთ. დილის რვა საათიდან გვიან ღამემდე აქ თქვენს განკარგულებაშია ჩოგბურთის ღია და დახურული კორტები (ყველანაირი საფარით), გოლფის მოედნები, საბილიარდოები, ბოულინგის (ე. წ. კეგლის) სათამაშო დარბაზები, ტრენაჟორებისა და სპორტული ცეკვების დარბაზები, საუნები და, რაც მთავარია, უზარმაზარი საცურაო აუზი წყლის სხვადასხვა დონით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თვით აუზი (რომლის დიდი ნაწილი შემინულია), თავისი არქიტექტურითა და გაფორმებით, ხელოვნების ნიმუში გახლავთ. ცისფერ, კამკამა წყალს. სხვადასხვა ადგილებზე პატარა პალმებითა და ეგზოტიკური მცენარეებით გამშვენებული ხელოვნური კუნძულები ყოფენ, რომლებიც პატარა, ხის ხიდებით უკავშირდება ერთმანეთს. დროგამოშვებით ხან ზევიდან გადმოხეთქავს ჩანჩქერი და ხან ზღვის ტალღები დაიძვრებიან ერთი კედლიდან მეორისაკენ და ბავშვთა და, სხვათაშორის, მოზრდილთა, ჟრიამულსა და აღფრთოვანებას ყურთასმენა მიაქვს. აქვეა ოთხი სხვადასხვა სახის წყალზე დასაცურებელი პლასტმასის მილების ატრაქციონები, რომელთა ვირაჟებს ზოგჯერ სულის შეკვრამდე მიჰყავთ ადამიანი.

„ფორესტ ჰილში" შეგიძლიათ შეიძინოთ ყველანაირი საქონელი, თქვენ წარმოიდგინეთ, ავეჯიც კი — შეარჩევთ კატალოგში, გადაიხდით შესაბამის თანხას და სახლში მისვლისას მანქანა სასურველი ავეჯით თქვენს კართან იდგება. აქ შეგიძლიათ მოხვიდეთ ოჯახებით. თუ თან გყავთ ბავშვები და მათ შესაძლოა გართობისას ხელი შეგიშალონ, თქვენ განკარგულებაშია ერთდღიანი საბავშვო ბაღი, სადაც თქვენს პირმშოს ჩიტის რძესაც არ მოაკლებენ (როგორც გსურთ — პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით — ისე გაიგეთ), არც ათასნაირ სათამაშო ატრაქციონებს, თუ თვითონ მშობლები არ დახვდნენ იქ უკვე თამაშის აზარტში შესულები. მთელი დღის კვების პრობლემა, არამარტო ამ ცენტრში, არამედ მთელს საფრანგეთში, კარგა ხანია უკვე დადებითადაა (მეტი რომ არა ვთქვათ) მოგვარებული.

გაინტერესებთ ალბათ, რამდენი უნდა გაიღოთ ყველა ამ სიამოვნებისათვის. ოჯახმა, სამი ადამიანის შემადგენლობით, მთელი დღე, არაქათის გამოცლამდე რომ ისიამოვნოს აქ, დაახლოებით 500-600 ფრანკი დაუჯდება (100 ფრანკი დაახლოებით 10 მანეთია, საერთაშორისო ბაზარზე, ხოლო საბჭოეთის მიერ მოგონილი ახალი კურსით, 100-100 მანეთის ტოლფასია). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საფრანგეთში საკმაოდ დიდი ხელფასებია — საშუალოდ 9-10 ათასი ფრანკი თვეში — ადვილი წარმოსადგენია, რომ ერთი დღის გართობით ოჯახის ბიუჯეტს დიდი არაფერი მოაკლდება.

ყველაფერი, რაც ამ ცენტრშია განლაგებული, სრულიად ადვილი გასამართია თბილისშიც. თუნდაც, იმ ზღაპრადქცეულ და ყოველთვის მომავლისათვის განწირულ „მზიურში", რომლის აშენებას დასასრული აღარ უწერია...

მინუს პირველ სართულზე უნდა ჩავიდეთ მე და ჩემი „ექსკურსიათმძღოლი", პარიზში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე თენგიზ კვესელავა, მინუს პირველზე — მანქანების მიწისქვეშა სადგომებია. ლიფტში შესვლამდე უცებ ვიღაც ახალგაზრდას მოვკარი თვალი, რომელიც კლდეზე მიცოცავდა. „გარეთ ხომ არა ვართ შემთხვევით?" ვკითხე თენგიზს. „არაო, ესეც ამ ცენტრის არის, მეკლდეურობაში ცდიან თავიანთ ძალებს ფრანგებიო"...

კლდეც გვაქვს, ტყეც და ღრეც, თეორიაც თავზე გადაგვდის, მაგრამ...

„ფორესტ-ჰილში" კი ვიღაცამ უკვე კლდეც დაიპყრო და ახლა ალბათ ცისფერწყლიან, ზღაპრულ აუზშიც ნებივრობს.

●

პარიზი რომ ხელოვნების ცენტრია, ამას, ალბათ, არც ჩემი დასტური და არც პარიზელთა ფიცი სჭირდება. ეს ჭეშმარიტება ქალაქთან გაცნობის პირველივე დღიდან ნათელია. პარიზელები თავიანთი ხელოვნების ჩვენებას არსად არ თაკილობენ — მეტროშიც კი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მთელ მსოფლიოში, იგი 1900 წლის 19 ივლისს გაიხსნა. ინფორმაციისთვის კი გეტყვით—მანამდე 1863 წელს ლონდონის, 1868 წელს ნიუიორკის მეტროპოლიტენები გაიხსნა. მეოცე საუკუნეში პარიზის შემდეგ ბერლინის (1902 წ.), მადრიდის (1919 წ.), ტოკიოს (1927 წ.), მოსკოვის (1935 წ.), რომის (1955 წ.) და ლისაბონის (1959 წ.) მეტროპოლიტენები ამუშავდა.

მეტრო პარიზისთვის, ამ ძალზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქისთვის, ყველაზე ხელსაყრელი ტრანსპორტია. იქ, სადაც მანქანით ნახევარი საათის სავალი გზაა, მეტროს ვაგონი 15 წუთში მიგაქროლებთ. დროის უკმარისობა კი, პარიზელთათვის, ყველაზე დიდი პრობლემაა. შენთვის სასურველი სვლა-გეზით მიმავალ მეტროს ვაგონში ჩაჯდები და... აი, აქ იწყება ზუსტად საკონცერტო პროგრამები. ვის არ შეხვდებით ამ მიწისქვეშა „კონსერვატორიაში" სამხრეთ-ამერიკელებსა თუ ფრანგებს, ესპანელებსა თუ მაროკოელებს, შვედებსა თუ არაბებს, გერმანელებსა თუ ამერიკული „ქანთრის" ოსტატ შემსრულებლებს. თქვენ წარმოიდგინეთ, „კონკორდის" მეტროში ერთხელ გრძელწვრილ-ულვაშა, წვრილთვალა, ჩამოძენძილი ტანსაცმლით, კედელთან ჩაცუცქული, ნაციონალური ერთსიმიანი საკრავით ხელში ყაზახეთიდან გადმოხვეწილი ემიგრანტიც კი ვნახე.

ყველა ამ მუსიკოსთა საკონცერტო პროგრამა მეტროს მატარებლის სულ ორი, მაქსიმუმ სამი გაჩერებით შემოიფარგლება. მარტოდ, დუეტში თუ მთელი „ბენდის" მიერ შესრულებული ნაწარმოების შემდეგ, რომელიმე მუსიკოსი ჩამოივლის ვაგონს და თუ ვინმე რამდენიმე სენტიმს ან ფრანკს გაიღებს, იმაზეც მადლობელნი არიან. მათი საშემსრულებლო ფანტაზია კი მრავალფეროვანია. იყო შემთხვევა, როდესაც ვაგონში ერთხელ ხელებზე უცნაური ხელთათმანებჩამოცმული ახალგაზრდა შემოვიდა. მგზავრებს მიესალმა, შემდეგ სწრაფი მოძრაობით ორ, ხელის მოსაკიდებელ რკინის ბოძს შორის ხავერდის შავი ფარდა გაკიდა, მკერდზე ჩამოკიდებული პორტატული მაგნიტოფონი ჩართო და ცნობილი ამერიკელი კომპოზიტორის გლენ მილერის მუსიკის თანხლებით, ხელის თითების პანტომიმის მაღალოსტატური მიკროპიესა უჩვენა დამსწრეთ.







„მონპარნასის" სადგურში, ერთ ქალს საკონცერტო არფაც კი ჰქონდა ჩამოტანილი და კლასიკური მუსიკის მოყვარულთა წრე თითქმის ყოველთვის გარს ეკრა.

„პლას დე იტალის" სადგურზე, ზოგჯერ გოგონა და დროგამოშვებით, ვაჟა მაგნიტოფონზე ჩაწერილი სიმფონიური ორკესტრის კლასიკური მუსიკის ფონზე, ფლეიტით თუ საქსოფონით თავიანთ სოლო პარტიებს ასრულებდნენ.

იყო შემთხვევა, როდესაც ერთი ახალგაზრდა მატარებლის მოლოდინში ბაქანზე, პლასტმასის სკამზე მჯდომი, ამავე სკამს დოლად იყენებდა. და უნდა ითქვას, საკმაოდ ოსტატურადაც.

მეტი რომ აღარ გავაგრძელო, იმდენ მუსიკალურ შემოქმედს, რამდენიც პარიზის მეტროში „მუშაობს", თვით ქუჩებშიც ვერ შეხვდებით.

არადა, არც ისე ურიგო უნდა იყოს, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას ნებისმიერი მელოდიის მოსმენა. თუ არ ვცდები, თვით ექიმებიც კი ურჩევენ თავიანთ პაციენტებს სტრესების მოხსნას მუსიკალური ჰანგებით. შეიძლება ვინმეს გაეცინოს, მაგრამ თბილისში, ზოგიერთი მძღოლის მიერ ავტობუსში თუ ტროლეიბუსში მიკროფონის საშუალებით „ნასროლ" უკმეხ მითითებას, ბილეთის შეძენის თაობაზე, მე პირადად, „ცისფერი ტრიოს" — „ლურჯი აპრილი" მირჩევნია. მით უმეტეს, რომ თბილისის თითქმის ყველა საზოგადოებრივი ტრანსპორტი დღეს რადიოფიცირებულია.

●

პარიზში ყველაზე ძნელი სამუშაო, ალბათ, ექსკურსიამძღოლებს ექნებათ. აბა, წარმოიდგინეთ, როგორია მთელი დღის განმავლობაში, რაგინდ ნელი სიჩქარით არ უნდა მიდიოდეს საექსკურსიო ავტობუსი, (თუნდაც იაპონელი ტურისტებით დატვირთული, და ეს უკანასკნელნი კი საფრანგეთში ტურისტად ჩასულთა შორის 50 პროცენტს შეადგენენ), ყოველ წუთს განუმარტო—„მარჯვნივ ლუვრია, მარცხნივ „პალას როიალი".. თან უნდა მოუყვე ისტორია. როგორ გინდა მოასწრო — პარიზში ყველა სახლი, ქუჩა, სასახლე და ზოგი პატარა კაფეც ხომ ისტორიაა. მაგალითისთვის მონპარნასის ავენიუზე მდებარე კაფე „როტონდა"-ს მოყვანაც შეიძლება, სადაც თავის დროზე, არა მარტო პარიზის ბოჰემა არამედ მსოფლიოს ხელოვნების უთვალსაჩინოესი მოღვაწეებიც იკრიბებოდნენ, მათ შორის ლადო გუდიაშვილიც, და ელენე ახვლედიანიც გახლავთ. სენ-ჟერმენის ბულვარზე მდებარე კაფე „დე ლა ფლორ", ერთ-ერთი უძველესია მთელ პარიზში.

აღარაფერს ვამბობ თვით ლუვრზე, პალას როიალზე, ჰოტელ დე ვილზე, მე-4 საუკუნის ძეგლზე სენ-ჟერმენზე, სადაც თვით ლუდოვიკო XIV მოინათლა, და სხვათა და სხვებზე. როგორც პირველ წერილში უკვე მოგახსენეთ ფრანგები თავიანთი ხასიათითა და ბუნებით კონსერვატორები არიან. მათთვის ახალ, მოდერნიზებულ არქიტექტურასთან შეგუება ისევე ძნელია, როგორც კატისა და ძაღლის მეგობრობა. თუმცა, ხომ არის გამონაკლისიც ცხოველთა სამყაროში (ამის თვალსაჩინო მაგალითს თქვენ ამ გვერდზეც ხედავთ).

ძალიან ძნელი დასაჯერებელი იყო ფრანგებისათვის, რომ 100 წლის წინათ, ეიფელის კოშკის გამო ატეხილი ბუმის შემდეგ, ვინმე ეცდებოდა კიდევ რაიმე ულტრათანამედროვე არქიტექტურული ნაგებობა ჩაედგა პარიზის ისტორიული ცენტრის შუაგულში. და მართლაც, სასწაული მოხდა—ჟორჟ პომპიდუს ხელოვნების ცენტრსაც შეეგუენ პარიზელები, ისევე, როგორც ასი წლის წინათ ეიფელს.

პომპიდუს ცენტრის გარშემო ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა. ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი მართლაც ხელოვნების მოყვარულთა ნებისმიერი გემოვნებისა და ნიჭის მსახურია. საგამოფენო, საკონცერტო თუ კინო-დარბაზები ყოველდღიურად ათასობით დამსწრეს ემსახურება. მისი ორიგინალური არქიტექტურული სახე — ფასადი, დამთვალიერებელს თითქოს გაბნევს თავისი რთული ჩახვეული მილებისა და შუშის კასკადით, მაგრამ შიგნით შესვლისას, აბსოლუტურ თავისუფლებას გრძნობთ. პომპიდუს ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ულტრათანამედროვე ტიპის ქანდაკებებია აუზში გაწყობილი. თუმცა, სიტყვა „ქანდაკება", აქ შესაძლოა უადგილოც იყოს, რადგან ის რკინისა თუ სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული და მექანიკური სიზუსტით მომუშავე, უცნაურად მოძრავი მანქანების მიერ გამოტყორცნილი წყლის ნაკადები ფანტასტიკური სამყაროს ცოცხალ რობოტებს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე მიქელანჯელოს უკვდავ შედევრებს. აქ ყველაფერი მოძრაობს და ერთიანად პატარა, ქაოსურ მინი-ქვეყანას ქმნის. ამ უცნაური ატრაქციონის ავტორი შვეიცარიელი სკულპტორი ჟან ტენგლი გახლავთ. მის ამ ნამუშევარს კი „სტრავინსკის შადრევანი" ეწოდება. იგი ავტორმა 1983 წელს შექმნა. 80-იანი წლების ამ პოპულარული და ნიჭიერი სკულპტორის ამგვარი მექანიკური შედევრები მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილ მუზეუმსა და გალერეებს ამშვენებს. 1988 წლიდან ჟან ტენგლი დედამიწის ცნობილი ადამიანების პორტრეტების — „გამოძერწვას" შეუდგა. მათ შორის მარქსისა და ენგელსის საინტერესო მექანიკურ სახეებსაც ვიხილავთ მომავალში. სხვათაშორის, ჟან ტენგლი 40-იან წლებში შვეიცარიის კომპარტიის რიგებშიც იყო. ტენგლის რამდენიმე ნამუშევარი პომპიდუს ცენტრის თანამედროვე ხელოვნების საგამოფენო დარბაზშიც დგას.

**თამაზ ხულაძე,**
ავტორის ფოტოები.
თბილისი-პარიზი-თბილისი.

(დასასრული იქნება)



**სურათებზე:** (ქვემოდან ზემოთ) მონმარტრის მუსიკოსები; „ოჯახური იდილია"; სენ-ჟერმენის პანტომიმის „თეატრი" ერთი მსახიობისათვის; „სტრავინსკის შადრევანი".

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ბუნება და ბავშვები











დედამიწის დღე — 22 აპრილი თავისებურად აღნიშნეს თბილისელმა პატარებმა. მწვანეთა მოძრაობის მიერ ტელევიზიით გამოცხადების გამო მუშთაიდის ბაღში მოსული ასზე მეტი ბავშვი, 5-12 წლისანი, მთელი საათი, ზოგი უფრო მეტხანს, ფუნჯით თუ ფლომასტერით ხატავდნენ სრულიად საქართველოს ბუნების სილამაზეს და... სატკივარს.

და აი, ხელთა გვაქვს მრავალფეროვანი პანორამული სურათი, რომელზეც ცოტაა ვარდი და ყვავილი, ჩიტი და პეპელა, ცხრათვალა მზე და ცისარტყელა, ბავშვთა ბუნებისათვის ესოდენ საყვარელი სამყარო, სამაგიეროდ არის მწარე სინამდვილე — ჭუჭყიანი სამოთხე, რომელსაც, გვინდა თუ არ გვინდა, კარგად ხედავენ ისინი, ჩვენი შვილები და შვილიშვილები.

დიახ, ბავშვი დღეს პირდაპირ გვეუბნება (გვიხატავს), რომ ერთი აჭკაცი ლამაზ ნაძვის ხეს ქურდულად ჭრის და შინ მიათრევს; მეორე — თოფს ესვრის ქორბუდას; მესამე — ცეცხლს სტოვებს ტყეში; მეოთხე — ნაგავს ყრის ქალაქის ქუჩებში; მეხუთე — აფეთქებს მდინარეს... ავტომობილები, თვითმფრინავები, ქარხნები გვწამლავენ... სიეს-ის შხამიეხება ეროვნულ დროშას... და ღმერთიც კი, ღმერთიც შეძრწუნებული მოიჩქარის რომ უშველოს საქართველოს...





22 აპრილის ნახატები ახლა მუშთაიდის მწვანე სახლის დიდ დარბაზს ამშვენებს. ბავშვთა გაკვირვებას და წადილს კი საზღვარი არა აქვს. იმედია, მშობელთა, აღმზრდელ-მასწავლებელთა, მწვანეთა, ყველა კეთილი ნების მოძღვართა მეცადინეობით, დედაბუნების, ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ წარიმართება მათი ფიქრი, უნარი და ენერგია.

დაბოლოს, მოდით, თვალყური ვადევნოთ პრესას, რადიოს, ტელევიზიას, რათა არ გამოგვრჩეს ნორჩთა შემოქმედებითი (ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ჟურნალისტიკა) გატაცების გამოხატვის საშუალებანი, რომელსაც მწვანეები შემოგვთავაზებენ.

ზვანჯი მანია

იური ლუკაშვილის ფოტოები.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პრესცენტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრაგმენტულად...
# გასტროლების შესახებ

„ქართველი ბუნებით თეატრალია, თეატრს ჰქმნის ტემპერამენტი და ქართველის ბუნებაში ხომ ტემპერამენტი ნაპირგადასულია...

თეატრში თავიდათავი არტისტული ნერვია."

**გრიგოლ რობაქიძე**

●

ამ რამდენიმე დღის წინათ, კინოსტუდიაში მოეწყო შეხვედრა ავსტრალიიდან ახლახანს დაბრუნებულ კინომსახიობთა თეატრის კოლექტივთან.

კინომსახიობთა თეატრი მონაწილეობდა ავსტრალიის ორ უდიდეს ფესტივალზე — პერტსა და ადელაიდაში. ფესტივალზე ქართველმა მსახიობებმა ორი სპექტაკლი წარმოადგინეს: მოლიერის „დონ-ჟუანი" და დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები" (ეს სპექტაკლი დადგმულია ცოტნე ნაკაშიძის ინსცენირების მიხედვით).

პერტის საფესტივალო პროგრამაში წარმოდგენილი იყო ქეთი დოლიძის ფილმი „მარტოხელა მონადირე".

მართალია, არ მესმოდა სიტყვები, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს — ამას ამბობდა თითქმის მეორე მაყურებელი სპექტაკლის შემდეგ...

(ეს ჩვენ ვიდეოფირზე ვიხილეთ. საერთოდ, ყველაფერი ვიდეოფირზეა აღბეჭდილი და, ალბათ, დიდი გადაცემა მომზადდება ტელევიზიით.)

●

**რუსუდან ბოლქვაძე:** ყოველი დღე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, არ ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო. ვუყურებდი აღფრთოვანებულ სახეებს სპექტაკლის შემდეგ, ვგრძნობდი სითბოს, მართალ თვალებს და ვხვდებოდი, რომ ეს არის მთავარი. კარგია, როცა არსებობს ასეთი თბილი ავსტრალიელი ხალხი, არსებობს ადამიანებს შორის გულღია, უშუალო კავშირები, კარგია, როცა ვილაცას მოენატრები. მე მგონი, ჩვენ მოგვენატრება ერთმანეთი.




●

„თუმანიშვილის „დონ-ჟუანი" არის საუკეთესო მათ შორის, რაც კი მინახავს, ეს არის თანამედროვე, დინამიური, ბრწყინვალედ გათამაშებული სპექტაკლი ახალგაზრდა ქართველი მსახიობების მიერ, რომელთა ყოველი მოძრაობა დიდი ენერგიითა და ძალით არის დამუხტული. კომედიის ბნელმა მხარემ თავის თავს მიხედოს, ამათ სინათლე და ანარქია აინტერესებთ".

**პიტერ ბრუკი**

●

**თამო თოლორაია:** მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჩვენი მისია, გაგვეტანა ქართული კულტურა საზღვარგარეთ, წარმატებით დაგვირგვინდა.

საოცარი ქვეყანაა ავსტრალია, სულიერად დაისვენებს ადამიანი. ხშირად ვეკითხებოდით მათ, რა პრობლემები ჰქონდათ: გვეუბნებოდნენ — ჩვენ მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, როგორმე გავიხანგრძლივოთ სიცოცხლეო. ჩვენ ხომ ასეთი პრობლემები არ „ჩვეულ"-ხებს"...

●

**ქეთი დოლიძე:...** ძალიან საწყენია, როცა ჩვენ ასეთი დიდი სიხარულით ჩამოვდივართ საქართველოში და ზოგი ამ სიხარულს არ იზიარებს. ყველა ხელოვანი, ვისაც საზღვარგარეთ გააქვს ჩვენი კულტურა, საქართველოსთვის აკეთებს ამას. ბატონ მიხეილ თუმანიშვილის ხელოვნება რომ მთელ ქვეყანაში იციან, ამაზე დიდი ბედნიერება ერისთვის რა უნდა იყოს?..

●

ბანალურია, მაგრამ ჭეშმარიტი: დიდია ადამიანიც და ერიც, რომელსაც შეუძლია სხვისით აღფრთოვანება...

**საკუთარი ინფორმაცია**

**ოლეგ გველესიანის ფოტო.**

# გეპატიჟებათ კრწანისის ბაზარი



ამ დღეებში, თბილისში, ორწლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ, გაიხსნა კრწანისის ბაზარი. ნუ შეშფოთდებით, იგი ჩვენთვის კარგად ცნობილი კოლმეურნეობის მოედანზე მდებარე დახურული ბაზრის ახალი სახელია. აქ თითქმის ყველაფერი შეუცვლიათ, გადაუხალისებიათ მშენებლებსა და რეკონსტრუქტორებს — მარმარილოს დახლები, სასიამოვნოდ გაფორმებული სექციები, დარბაზში მოთავსებული მაღაზიები და გემოვნებით შერჩეული რეკლამები, რის წყალობითაც შესაძლებლობა გექნებათ ადვილად მიაგნოთ თქვენთვის სასურველ პროდუქტს. თუმცაღა სასურველი ფასების გარანტიაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით. ბაზარში 25 აპრილს კონტიკუნტად იყვნენ გამყიდველებიცა და მყიდველებიც, მაგრამ რამდენიმესთან ვცადეთ გასაუბრება.

**მომხმარებელი.** ძალიან კარგია, ყველაფერი ლამაზი და სასიამოვნოა, მაგრამ მე დიასახლისი ვარ, ბაზარშიც ძირითადად მე მიწევს სიარული და სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მთავარი მაინც პროდუქტის ფასია...

**მომხმარებელი.** რა თქმა უნდა, ერთი თვალის გადავლებით, ყველაფერი ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ ვისურვებდი ეს სიახლის პეწი და სისუფთავე მაშინაც შევინარჩუნოთ, როცა ბაზარი მყიდველ-გამყიდველით აივსება.

**მომხმარებელი.** მე ამავე უბანში ვცხოვრობ. ძალიან მიჭირდა ორი წელი სხვა ბაზრებში სიარული. კარგია, რომ ისევ განახლდა ჩვენი უბნის ბაზარი, მაგრამ მინდა ერთი აღვნიშნო, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია მსუბუქი თუ სატვირთო ავტომანქანებით ისე ივსება, რომ მოძრაობა ჭირს, კარგი იქნება, თუ შესაბამისი სამსახურები გაითვალისწინებენ და ამასაც მოგვიგვარებენ:

**გლეხი:** ადრეც ამ ბაზარში ჩამომქონდა საქონელი. ასეთ კარგ გარემოში ყოფნა ჩვენთვისაც სასიამოვნოა. მართალი გითხრათ, მთელი დღე ფეხზე დგომითა და ბაზრის ხმაურით ჩვენც ძალიან ვიღლებით. აი, აგერ, წყლის ონკანებიც დაუყენებიათ რამდენიმე ადგილზე, საპარიკმახეროც აქვეა და კეთილმოწყობილი სასაუზმეც. არ ვიცი, მეტისმეტ პატივად მომეჩვენა, მაგრამ უთქვამთ დასასვენებელი ოთახიც იქნებაო. ამ დარბაზში შესაძლებლობა გვექნება დარაჯებს გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ, ჩავაბაროთ ჩვენ-ჩვენი საქონელი და არც ტვირთის წაღებ-წამოღებით გავიტანჯებით...

კრწანისის ბაზარში კიდევ ერთი სიახლეა — იგი იჯარით აიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და დღეისთვის ყველა სამუშაოს, დაწყებული მტვირთავიდან, დამლაგებლით დამთავრებული, ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები შეასრულებენ. ეს მომავალი სპეციალისტებისათვის ერთგვარი პრაქტიკაც იქნება. გათვალისწინებულია აქვე გაიხსნას ამ ფაკულტეტის საბაზო კათედრა.

**ჯამბულ წაქაძე.** კრწანისის ბაზრის ერთ-ერთი დირექტორი (ბაზარს სულ ოთხი დირექტორი ჰყავს). საკოლმეურნეო ბაზრებში ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტთა დასაქმების გამოცდილება კარგა ხანია შევიძინეთ. მართალია, ბევრი ეწინააღმდეგებოდა ამ წამოწყებას, მაგრამ შედეგი სახეზეა, გაიზარდა სალაროს შემოსავალი, გაუმჯობესდა მომსახურეობის კულტურა.

საშუალოდ თითოეული სტუდენტის სამუშაო 10-12 დღეს არ აღემატება, ანაზღაურება საკმაოდ კარგია 200-250 მანეთი. ბაზრის რეკონსტრუქციის შემდეგ ორჯერ გაიზარდა ლაბორატორია, სადაც შემოტანილი პროდუქტის ხარისხი მოწმდება. აქვეა დაგეგმილი გაიხსნას მწნილების საამქრო, წისქვილი. სამართლიანია მომხმარებლების გულისწყრომა, რატომ უნდა ღირდეს შვიდი-რვა მანეთი მწნილი, ორი მანეთი ფქვილი? გლეხს ვერაფერს ეტყვი, ყველაფერი შრომატევადია და ასე გვიჯდებაო, გეტყვიან. ჩვენმა საამქროებმა კი ვფიქრობთ ფასები შესამჩნევად უნდა დასწიოს.

●

ამ დღეებში დახლები კვლავ აივსება ხილ-ბოსტნეულით, სოფლის დოვლათით. კვლავ ახმაურდება უკვე კრწანისის საკოლმეურნეო ბაზარი. მართალია მიზეზთა და მიზეზთა გამო რეკონსტრუქცია გათვალისწინებულ ვადებში არ დასრულდა, მაგრამ ხარისხიანი და გემოვნებით შესრულებული სამუშაოსათვის მაინც მადლობას ვუხდით ცეკავშირის პირველი საამშენებლო ტრესტის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მოძრავი მექანიზებული კოლონის და საქკოპდიზაინრეკლამის თანამშრომლებს.

მაშ ასე, გელით კრწანისის ბაზარი.

**ნინო კვაჭანტირაძე**



**ოლეგ გველესიანის ფოტოები.**

# ვარსკვლავთა მატჩი მოსკოვში

**საკალათბურთო** შოუს ანუ ვარსკვლავთა მატჩს საფუძველი ჩაეყარა ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირველად მატჩი გაიმართა 1951 წლის 2 მარტს ბოსტონ გარდენში. სასიამოვნოა, რომ ეს საინტერესო ტრადიცია ჩვენშიც იკიდებს ფეხს. (სასურველი იყო, რომ ამ მხრივ ქმედითი ნაბიჯები უფრო ადრე გადაედგათ).

პირველი მატჩი აღმოსავლეთის და დასავლეთის ვარსკვლავთა ნაკრებს შორის შედგა 1990 წლის 23 აპრილს, მოსკოვში ცსკა-ს დარბაზში და მას 5000 მაყურებელი ესწრებოდა. მატჩის არბიტრები იყვნენ მიხეილ დავიდოვი და მიხეილ გრიგორიევი, სასტარტო ხუთეულები ასეთი იყო, — დასავლეთი: გუნდას ვეტრა, ვალერი სიზოვი, სერგეი ტარაკანოვი, დიმიტრი სუხარევი, იგორ მელნიკი. (მწვრთნელი ვლადიმერ კონდრაშინი). აღმოსავლეთი: ვლადიმერ გორინი, ანდრეი პოდკოვიროვი, ვიქტორ ბერეჟნოი, ვალერი ტიხონენკო, ვლადიმერ ტკაჩენკო. (მწვრთნელი სერგეი ბელოვი). ამ მატჩში, რა თქმა უნდა, ყველაფერი პირველი იყო. პირველი ბურთი დასავლეთის გუნდის წევრმა მოსკოვის „დინამოელმა" სიზოვმა ჩააგდო. პირველი პერსონალური ჯარიმა ვიქტორ ბერეჟნოიმ მიიღო, საჯარიმოები ზუსტად გამოიყენა სერგეი ტარაკანოვმა. პირველი ტექნიკური შეცდომა ვლადიმერ ტკაჩენკომ დაუშვა. პირველი საჯარიმო სროლა დიმიტრი სუხარევმა ააცდინა. პირველი ზუსტი სამქულიანი ტყორცნა ანდრეი პოდკოვიროვმა განახორციელა.

აღმოსავლეთის გუნდის შემადგენლობა გაცილებით უფრო ძლიერი იყო და მასში თავმოყრილი მოთამაშეების ინდივიდუალური ოსტატობა უფრო მაღალი გახლდათ. ამიტომ მატჩის დასაწყისში დასავლეთის გუნდის უპირატესობა ერთგვარ მოულოდნელობას წარმოადგენდა, და ეს, ჩვენი აზრით, განპირობებული იყო თამაშის ორგანიზაციის უფრო უკეთესი გააზრებით. პირველ პერიოდში დასავლეთის ნაკრების წარმატება სავსებით კანონზომიერი იყო — 33:24. აღმოსავლეთის გუნდს კარგს არაფერს უქადდა არც მეორე ტაიმის დასაწყისი. ვ. კონდრაშინის გუნდის უპირატესობამ თოთხმეტ ქულას მიაღწია, მაგრამ მეორე პერიოდის მიწურულს დასავლეთის გუნდი რაღაცნაირად მოეშვა, ზედიზედ რვა შეცდომა დაუშვა, რომლითაც გამოცდილმა მეტოქემ, რასაკვირველია, კარგადისარგებლა და პირველი ტაიმის მიწურულს წინ უკვე აღმოსავლეთის ნაკრები გავიდა — 62:58. როგორც გაირკვა, ეს წუთები გადამწყვეტი აღმოჩნდა და აღმოსავლეთის ნაკრებმა შესძლო გარდატეხა შეეტანა მატჩში. მესამე პერიოდი უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობდა და აღმოსავლეთის ნაკრებმა შესძლო მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება — 91:88. გადამწყვეტი მეოთხე პერიოდი ქულა-ქულაში მიდიოდა, თუმცა უფრო ხშირად წინ აღმოსავლეთის ნაკრები იყო, რაც, ჩვენი აზრით, ორი გარემოებით შეიძლება აიხსნას. ბოლოს და ბოლოს მაინც იჩინა თავი აღმოსავლეთის გუნდის მაღალმა ინდივიდუალურმა ოსტატობამ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვალერი ტიხონენკო, რომელმაც გუნდს 30 ქულა შესძინა. და რაც მთავარი იყო, აღმოსავლეთის გუნდმა მოიგო მეტოქის ფარზე ბრძოლა, რაც სერგეი გრიშაევის დიდი დამსახურება იყო. დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მატჩის უკანასკნელ წამებზე მიაღწია. 36 წამით ადრე წინ აღმოსავლეთის ნაკრებმა 121:119 და ბურთი მათ აქვთ. მთავარია მათ არ დაკარგონ ბურთი და განახორციელონ ზუსტი შეტევა, მაგრამ დასავლეთის გუნდმა შეძლო ბურთის ჩაჭრა და სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო. მატჩის დამთავრებამდე 9 წამით ადრე რიგელი სნაიპერის გუნდას ვეტრას ტყორცნა აცდა მიზანს და ამ საინტერესო მატჩს წერტილი კიეველმა ანდრეი პოდკოვიროვმა დაუსვა — 123:119. გაიმარჯვა აღმოსავლეთის ნაკრებმა. აქვე დავძენ, რომ სნაიპერთა ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა რიგელი გუნდას ვეტრა (20).

დაბოლოს, როდესაც ამ მატჩს ვუყურებდით არ გვტოვებდა ერთი ფიქრი. ალბათ, მიმიხვდით — ვარსკვლავთა მატჩი მოსკოვში ქართველი კალათბურთელების გარეშე ჩატარდა.

**მერაბ კალანდაძე**

# მიტინგი მწერალთა კავშირში

**26 აპრილს, საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში, ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფმა, ალმანახ „ქართული მწერლობის" თანამშრომლებმა: ალექსანდრე გაბელაიამ, გელა კიკოლაშვილმა, ხოხო ნადირაძემ და ავთანდილ ჩხაიძემ შიმშილობა დაიწყეს...**

**ამ ფაქტთან დაკავშირებით, დღეს 8 საათზე, მწერალთა კავშირის შენობაში გაიმართა მიტინგი.**

მიტინგს არ ესწრებოდნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი და მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ხუტა ბერულავა.

რედაქციის თანამშრომლები ითხოვენ ალმანახის მთავარი რედაქტორის დაუყოვნებლივ გადადგომას და ყოფილი რედაქტორის რეზო მიშველაძის და მისი მოადგილის გრიგოლ ჭულუხიძის აღდგენას.

მათ მიაჩნიათ, რომ ახალი ხელმძღვანელის დანიშვნისას დაირღვა ყოველგვარი საკანონმდებლო და მორალური აქტები, კერძოდ, მწერალთა კავშირმა კოლექტივის აზრის სრული იგნორირებით დანიშნა ახალი ხელმძღვანელი. გაფიცულთა აზრით, ახალმა რედაქტორმა, დღიდან მისი დანიშვნისა, უნდობლობა გამოუცხადა კოლექტივს, მიმართა რეპრესიებს, მასიურად დაითხოვა სამსახურიდან ძველი თანამშრომლები. აღინიშნა ისიც, რომ ალმანახის პირველ ნომერში გამოქვეყნებული თემურ დოიაშვილისა და ლევან ბრეგაძის საპასუხო წერილის — „ძმაო რუქავ" — არსებობის შესახებ რედაქციის თანამშრომლებმა არაფერი იცოდნენ, წერილი დაიბეჭდა მალულად და იგი არ შეიძლება მთელი რედაქციის აზრს გამოხატავდეს.

გაფიცულები ბრალს სდებენ რედაქციის ხელმძღვანელობას ამბიციურობაში, არაობიექტურობაში და მოითხოვენ:

დაუყოვნებლივ მოიწვიონ მწერალთა კავშირის პლენუმი;

აღადგინონ უსამართლოდ გაძევებული თანამშრომლები.

დაუბრუნდეს ალმანახს ძველი სახელწოდება „კრიტიკა".

მიტინგზე ბატონმა გურამ ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ იგი სრულიად იზიარებს გაფიცულთა შეხედულებებს და მოთხოვნებს. ბატონმა ჰნერ ნიჟარაძემ სთხოვა მომშიმშილეებს შეეწყვიტათ აქცია მანამ, სანამ პლენუმი დადგენილებას არ მიიღებდა (ე. ი. 5-6 მაისამდე).

**გაზეთი დასაბეჭდად იყო მზად, როცა გვაცნობეს, რომ ამ საკითხებზე იმსჯელა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა.**

**საკუთარი ინფორმაცია**

**გასწორება**

საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონის პროექტს 22-ე მუხლის ბოლო წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე: ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში მონაწილეობა არ შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საოკუპაციო და მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

**რედაქტორი**

**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, „კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორაუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 Наш индекс 66400. უე 00249